

მოვლენის ტიპი, ავტობიოგრაფიული მსჯელობა და პერსონალური ნარატივის ინტრანდივიდუალური ცვალებადობა დროში¹ ლილი ხეჩუაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე:

კვლევის მიზანია იმის გარკვევა, უკავშირდება თუ არა პირადი ცხოვრებიდან მოვლენების თხრობისას ინტრანდივიდუალური ცვალებადობა მოგონების ტიპსა და ავტობიოგრაფიული მსჯელობის ხარისხს. კვლევის ფარგლებში ორჯერ (სამწლიანი შუალედით) ჩაიწერა და გაანალიზდა საქართველოში მცხოვრები 15 მოზრდილის ცხოვრების ისტორია. უფრო კონკრეტულად, თითოეული რესპონდენტის მონათხრობიდან შეირჩა 24 მოგონება (12-12 მოგონება დროის თითოეული მომენტისთვის) და გადაკოდირდა მოვლენის ტიპის, ავტობიოგრაფიული მსჯელობისა და ნარატივის სტრუქტურის მიხედვით. მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მეორედ თხრობისას მოგონებების მხოლოდ მესამედი გამეორდა, თუმცა მოგონების გამეორება არ არის დამოკიდებული გამოცდილების ტიპზე; გამოცდილების ტიპის გაკონტროლების პირობებში, სტატისტიკურად უმნიშვნელოდ ცვალებადობს მოვლენის ტიპი ანუ თემა, ავტობიოგრაფიული მსჯელობისა და მისი ცალკეული კომპონენტების მაჩვენებლები და პოზიტიური გადაწყვეტა, თუმცა მეორედ თხრობისას უფრო ხშირად იყო წარმოდგენილი სელფისა და ღირებულებების შესახებ მოგონებები. გარდა ამისა, პირველი თხრობისას გამოვლენილი მნიშვნელობის მინიჭების ხარისხი და მეორე თხრობისას მოგონებების გამეორების სიხშირე ერთბლივად სანდოდ წინასწარმეტყველებს მეორე თხრობისას მომხდარი ამბისთვის მნიშვნელობის მინიჭების ალბათობას და მისი ცვალებადობის ორ მესამედს ხსნის.

საკვანძო სიტყვები: ავტობიოგრაფიული მსჯელობა, მნიშვნელობა, ინტრანდივიდუალური ცვალებადობა, პერსონალური ნარატივი.

1. შესავალი

დროში სტაბილობა-ცვალებადობის საკითხი ფუნდამენტურია პიროვნების ფსიქოლოგიისთვის. არსებობს მოლოდინი, რომ პიროვნების ცვლადები საკმარისად სტაბილური იქნება როგორც მოკლევადიან პერსპექტივაში, ისე — დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდში (McAdams, et al., 2006). პირველს უოტსონი (Watson, 2004) ტესტ-რეტესტულ სანდოობას ანუ „საიმედოობას“ უწოდებს, მეორეს კი — „სტაბილობას“, თუმცა, რას მივიჩნევთ „საკმარისად“, მთლიანად განსახილველი კონსტრუქტის ბუნებაზეა დამოკიდებული. კონსტრუქტში იგულისხმება ის, თუ პიროვნების რა

¹ სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტის ფარგლებში (გრანტის No: YS-2016-8). დროის პირველი მომენტის მონაცემები შეგროვდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევრის კვლევით გრანტის ფარგლებში (CARTI), გრანტის გამცემი: ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდი, გრანტი N:IN2013-11481).

მხარის, რომელი მახასიათებლის სტაბილობა-ცვალებადობაზეა საუბარი. ეს შეიძლება იყოს დისპოზიციური პიროვნული ნიშნები (Costa & McCrae, 1994) ან ცხოვრების ისტორია ანუ ნარატიული იდენტობა (McAdams, et al., 2006; Singer, 2004).

პიროვნების მკვლევრებს ისტორიულად, უპირატესად, პიროვნული ნიშნების ინდივიდუალური განსხვავებების დროსა და კონტექსტში სტაბილობა ანუ უცვლელობა აინტერესებდათ (მაგალითისთვის იხ. Costa & McCrae, 1994) ანუ ის, თუ როგორ განსხვავდებიან ინდივიდები ერთმანეთისგან სტაბილურად. სხვა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნული ნიშნები იცვლება სხვადასხვა კონტექსტში (მაგალითად, Mischel & Shoda, 1995), პიროვნების თეორიათა უმრავლესობის კონცეპტუალური ჩარჩო კონტექსტუალური რხევის პირობებში სტაბილური „ბირთვის“ არსებობას მოიაზრებს (Costa & McCrae, 1994). ასე მაგალითად, დღეისათვის ცნობილია, რომ ისეთი დისპოზიციური ნიშნები, როგორც ექსტრავერსია და ნევროტიზმია, უაღრესად სტაბილური განზომილებებია (Heatherton & Nichols, 1994).

მიუხედავად სტაბილობაზე ასეთი აქცენტისა, არსებობს ალტერნატიული მოსაზრებებიც. ერთ-ერთი მათგანი დისპოზიციური ხელწერის შესახებ ლიტერატურიდან მომდინარეობს, რომელშიც კონტექსტიდან კონტექსტში ნიშნების ცვალებადობა პიროვნების სტაბილობის პოტენციურ წყაროდ განიხილება (მაგალითისთვის იხ. Fournier, Moskowitz, & Zuroff, 2009). ეს ნიშნავს იმას, რომ ინდივიდმა შეიძლება სანდოდ შეიცვალოს ქცევა კონტექსტის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამ დებულებას მკვლევრების ყურადღება ადამიანებს შორის ცვალებადობიდან ადამიანების შიგნით ცვალებადობაზე გადააქვს.

ხუთფაქტორიანი მოდელის ჩარჩოში ნიშნების პიროვნების შიდა ცვალებადობის შესახებ ფლისანი და ჯეიუიკრემი (Fleeson & Jayawickreme, 2015) საუბრობენ. მათ გამოცდილების შერჩევის მეთოდის გამოყენებით აჩვენეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთი პიროვნების შიგნით მართლაც მნიშვნელოვნად ცვალებადობს ნიშნების გამოვლინება და ეს ცვალებადობა პიროვნებათა შორის ცვალებადობასაც კი აღემატება; თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ცვალებადობა ისეთ დიაპაზონში ან ფორმით გვხვდება, რომ პიროვნება მაინც შედარებით სტაბილურად გამოიყურება (მაგალითად, Nofle & Fleeson, 2010). ავტორები (Fleeson & Jayawickreme, 2015) მიიჩნევენ, რომ ნიშნების შიდაპიროვნული ცვალებადობა იმ სოციალურ-კოგნიტური პროცესების დინამიკის შედეგია, რომელიც სხვადასხვა კონტექსტთან ინდივიდის მიმართების თავისებურებებს (მაგალითად, მიზნებს, გუნება-განწყობილებას, როლებს, კოდირების პროცესებს) უკავშირდება. ამგვარი ცვალებადობა ინდივიდის დასახასიათებლად ისეთივე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, როგორც ნიშნების აღწერილობები.

დისპოზიციური ნიშნების დონიდან პერსონალური ნარატივის დონეზე თუ გადავინაცვლებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიროვნების ეს ნაწილი უაღრესად კონტექსტუალიზებულია (McAdams, 2013) და პიროვნების უფრო იდეოგრაფიულ ხედვას გვთავაზობს, ვიდრე მისი ნებისმიერი სხვა დონე (McAdams & Maniczak, 2011). ასეთი პერსპექტივა გვაფიქრებინებს, რომ ნარატიულ დონეზე პიროვნება მეტად ცვალებადი უნდა იყოს, ვიდრე დანარჩენზე. როგორც მაკადამსი (McAdams, 2013; Pasupathi, Brubaker, & Mansour, 2007; McAdams, et al, 2006) აღნიშნავს, თავად ნარატიული იდენტობა, როგორც წესი, არ მიიჩნევა იმდენად სტაბილურად, რამდენადაც ნიშნები, ვინაიდან ის ფსიქოსოციალური კონსტრუქციაა (McAdams, 2013) და პიროვნების და მისი სოციო-კულტურული კონტექსტის მუდმივი, დინამიკური ინტერაქციის პროცესში ყალიბდება და ვითარდება. თუმცა, ნიშნების კვლევების დიდი ნაწილის ანალოგიურად,

ნარატიულ დონეზე ანუ ცხოვრების ისტორიის სფეროში მიმდინარე კვლევები ბოლო პერიოდამდე სხვადასხვა ტიპის ნარატივების ერთობლიობაში მახასიათებლების შესწავლაზე ფოკუსირდებოდა, პიროვნებათშორისი ცვალებადობის თავისებურებებით ინტერესდებოდა (მაგალითისთვის იხ. McLean & Syed, 2015; McAdams & McLean, 2013; Lilgendahl & McAdams, 2011) და, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა ტოვებდა ინფორმაციის იმ პოტენციურ მდიდარ წყაროს, რომელსაც ნარატივის შიდაპიროვნული ცვალებადობის შესწავლა წარმოადგენს. მხოლოდ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში გამოჩნდა პიროვნებისშიდა ცვალებადობის შესწავლაზე მიმართული კროსსექციური (მაგალითისთვის იხ. Kober & Habermas, 2017; McLean et al., 2016; Dunlop, 2015) და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, განმეორებითი (ლონგიტუდური) კვლევითი პროექტები, რომლებიც დროთა განმავლობაში ნარატიული იდენტობის ფორმირებისა და ცვალებადობა-სტაბილობის დინამიკის შესწავლას ისახავს მიზნად.²

წინამდებარე კვლევის განხილვამდე, ქვემოთ მოკლედ არის წარმოდგენილი კვლევის თეორიული ჩარჩო და გამოყენებული ძირითადი ცნებები და კონსტრუქტები: პერსონალური ნარატივი და მისი მახასიათებლები, ცხოვრების ისტორიის სტაბილობა-ცვალებადობის საკითხის შესახებ არსებული ემპირიული კვლევები და მიმდინარე ვითარება.

1.1. პერსონალური ნარატივი — ცხოვრების ისტორია

პერსონალური ნარატივებისა და ცხოვრების ისტორიების, როგორც პიროვნების ყველაზე ინდივიდუალიზებული შრის (McAdams, 2013), კვლევების უმრავლესობაში ძირითად ცნებას ნარატიული იდენტობა წარმოადგენს. ეს არის კოგნიტიური სტრუქტურა ანუ სკრიპტი (McAdams & Olson 2010; McAdams & Walden, 2010), რომელიც საკუთარი თავის შესახებ ინდივიდის ინტერნალიზებულ, განვითარებად და ინტეგრირებულ ცხოვრებისეულ ნარატივს ანუ მოთხრობას მოიაზრებს. ეს ინტერნალიზებული და განვითარებადი ნარატივი თავის თავში აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს და ინდივიდს პიროვნული უწყვეტობის განცდას უქმნის (Pasupathi, Mansour & Brubaker 2007). ეს განსაზღვრება ეგოს იდენტობის ერიკსონისეული (1963) დეფინიციიდან მომდინარეობს, თუმცა, პიროვნული იდენტობის ცნებასაც უკავშირდება, რომელიც მე-ს არამარტო დროში ერთიანობის განცდას სძენს, არამედ — სხვადასხვა კონტექსტსა და დროთა განმავლობაში მე-ს იგივეობრიობის შეგრძნებასაც უზრუნველყოფს (McLean, Syed, Yoder, & Greenhoot, 2014; Syed, 2010). ამრიგად, სუბიექტურად კონსტრუირებულ იდენტობას მე-ს დროსა და სივრცეში (სხვადასხვა სიტუაციაში) თანმიმდევრულობის, კოჰერენტულობის განცდის წარმოქმნა შეუძლია და ამას ის იმ ისტორიების, ამბების შექმნით/თხრობით ახერხებს, რომლებიც ამ უწყვეტობის, თანმიმდევრულობის ახსნასა და ილუსტრაციას უზრუნველყოფენ.

თეორეტიკოსთა და მკვლევართა სულ უფრო მზარდი რაოდენობა თანხმდება, რომ ადამიანები ნარატიული იდენტობების აგებას მოზარდობისას და ადრეული მოზარდილობისას იწყებენ და მათზე მუშაობას მთელი მოზარდილი ცხოვრების განმავლობაში აგრძელებენ (McLean & Syed, 2015). ნარატივები, რომლებსაც ადამიანები

² Identity Pathways Project (IPP) – ერთ-ერთი ასეთი მიმდინარე პროექტია, რომელსაც მაკლონი და ლილგენ დაჰლოახორციელებენ (პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი, 2017 და მარტი, 2018).

საკუთარი ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ქმნიან, თანამედროვე მოზრდილებს რთულ სოციალურ ეკოლოგიაში მათი ადგილის პოვნაში ეხმარებათ. ამრიგად, სწორედ ნარატიული იდენტობის რეალიებში გვიჩვენებს პიროვნება საკუთარ ყველაზე მნიშვნელოვან და ჩახლართულ ურთიერთობებს კულტურასა და საზოგადოებასთან (McAdams, 2009). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ჩვენს მიერ შექმნილი ნარატივები, არსებითად, იმას შესახებ არის, როგორ ვიბრძვით, რომ მოვაწესრიგოთ ის, ვინ ვიყავით ჩვენი წარმოსახვით წარსულში, ვინ ვართ ახლა და ვინ შეიძლება ვიყოთ მომავალში ჩვენი გონებითა და სხეულით ჩვენი ოჯახის, თემის, სამსახურის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, სოციალური კლასისა და კულტურის სოციალურ კონტექსტში. მე (self) საზოგადოების პირობებთან შეგუებას ნარატიული იდენტობის მეშვეობით ახერხებს (McAdams & McLean, 2013; McLean & Syed, 2016).

1.2. პერსონალური ნარატივის მახასიათებლები

პერსონალური ნარატივი მთელი რიგი ძირითადი მახასიათებლებით აღიწერება (მაგალითისთვის, იხ. Adler, et al., in press; McLean, Pasupathi, Greenhoot, & Fivush, 2016; McLean, 2008), თუმცა აქ მხოლოდ მოცემულ კვლევაში გამოყენებულ და გადაკოდირებულ მახასიათებლებს მიმოვიხილავთ. ესენია: პერსონალური ნარატივის სტრუქტურა, თემატური ასპექტი და ავტობიოგრაფიული მსჯელობა.

პერსონალური ნარატივის სტრუქტურა. ნარატიულ იდენტობას, რომელიც პერსონალური ნარატივის სახით აღიწერება, გააჩნია როგორც შინაარსი, ისე — სტრუქტურა (McAdams, 2009).

წარმოდგენილ ნაშრომში იდენტიფიცირებული და გადაკოდირებულია ნარატივის სტრუქტურის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელსაც მაკადამსი (2013) მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას³ უწოდებს და მოყოლილი ამბის დადებით გადაწყვეტაზე მიუთითებს (McLean et al., 2016; Pals & McAdams, 2004;). ე. წ. მაკომპენსირებელი ნარატივი ანუ სკრიპტი ახლოს დგას სილვან ტომპინსის (1981) ვალდებულებების სკრიპტთან და ისტორიის დალაგების ისეთ სტრუქტურას გულისხმობს, რომელშიც უარყოფით მოვლენას რაიმე სახის დადებითი შედეგი მოჰყვება, თუნდაც ეს დადებითი შედეგი გაცილებით ნაკლებად ინტენსიური იყოს, ვიდრე საწყისი ნეგატიური მოვლენა. ამასთან, ნარატივის ავტორი ექსპლიციტურად უნდა აღწერდეს მდგომარეობას, რომელიც მოიცავს დადებითი ემოციური ან კოგნიტური გამოსავლისკენ მოძრაობას, ან თავად ეს მოვლენა უნდა იყოს იმდენად დადებითი, რომ ადამიანთა უმრავლესობაში ასეთ შედეგს იძლეოდეს. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის თემა მთელ მსოფლიოში შეგვიძლია ვნახოთ მითებსა და ფოლკლორში. ის განსაკუთრებით მძლავრ იდეას წარმოადგენს მსოფლიოს წამყვან რელიგიებში (James, 1902/1958; Miller & C'deBaca, 1994, წყაროში McAdams, 2009). მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა გულისხმობს იმედს, რომ შიში, დანაკარგი, სევდა, დანაშაული და ა. შ. ისეთ შედეგებამდე მიგვიყვანს, რომელიც სიხარულს, აღმაფრენასა და სხვა დადებით ემოციურ მდგომარეობებს შეესაბამება, მაგალითად, პროტაგონისტი ქმარს გამოირდა, მაგრამ ორი მშვენიერი შვილი ჰყავს; ოჯახი დაენგრა, მაგრამ წარმატებული ექიმი გახდა (Khechuashvili, 2015b).

ავტობიოგრაფიული მსჯელობა ჰაბერმასისა და ბლუკის (Habermas & Bluck, 2000) შემოტანილი ტერმინია. ავტორები ცხოვრების ისტორიის ცნების განსაზღვრისას

³ Redemptive sequence. მე ტი დე ტა ლს თვის ქართულ ენაზე იხ. ხეჩუაშვილი, 2016

ერთმანეთისგან განასხვავებენ ორ ძირითად მანიფესტაციას: ცხოვრების ნარატივებს ანუ ცხოვრების ისტორიის სრულ პროდუქტებს და ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ანუ პროცესს, რომლითაც ფორმირდება და გამოიყენება ცხოვრების ისტორია. ავტობიოგრაფიული მსჯელობა საკუთარი წარსულის შესახებ თვითრეფლექსიური ფიქრის ან საუბრის პროცესია, რომელიც ინდივიდის ცხოვრების ელემენტებსა და სეღფს შორის კავშირების ფორმირებას მოიცავს და რომელშიც ინდივიდი საკუთარი წარსულისა და აწმყოს ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობს. ის მიგვითითებს ბიოგრაფიული პერსპექტივის ევოლუციაზე, რომელიც ფორმას სძენს მოცემული მთხრობელის ინდივიდუალობას განვითარების კონკრეტული ისტორიის ტერმინებით.

ავტობიოგრაფიული მსჯელობა ნარატივის განზომილებაა, რომელიც სეღფზე კონკრეტული მოვლენის სუბიექტურ გავლენაზე ახდენს ფოკუსირებას. პიროვნულად მნიშვნელოვანი ამბების კონსტრუირება და თხრობა იდენტობაზე მუშაობის აქტად განიხილება (მაგალითისთვის იხ. McLean, Pasupathi, & Pals, 2007). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერსონალური ამბების/ნარატივების კონსტრუირებისას ადამიანები საკუთარი სეღფის კონსტრუირებას ახდენენ ანუ ნარატიული იდენტობა (იგივე ცხოვრების ისტორია) ავტობიოგრაფიული მსჯელობის მეშვეობით ვითარდება (McLean, 2008). მკვლევრები თვლიან, რომ იმ ამბების კონსტრუირებისას, რომლებიც იმის გარკვევაში ეხმარება ადამიანებს, თუ ვინ არიან ისინი და, ასევე, სხვებისთვის საკუთარი თავის ახსნაში, ნარატივები გაჯერებული უნდა იყოს ექსპლიციტური ახსნებით — რას ნიშნავს ეს მოვლენები მათთვის ანუ მთხრობელი უნდა გაცდეს წარსულში მომხდარი მოვლენის დეტალებს და ახსნას, რა ისწავლა, რა შეიტყო ახალი საკუთარი თავის/სეღფის შესახებ (Lilgendahl & McAdams, 2011; McLean & Thorne, 2003; Pasupathi et al., 2007). ცხადია, ავტობიოგრაფიული მსჯელობის ეს რეფლექსიური პროცესი დროს მოითხოვს: სეღფსა და წარსულ მოვლენებს შორის კავშირების დანახვა და გაგება შეუძლებელია მომხდარისგან დისტანცირებისა და პერსპექტივაში დასახვის გარეშე (McLean, 2008).

ავტობიოგრაფიული მსჯელობის შეფასების სხვადასხვა გზა არსებობს (მაგალითისთვის იხ. McLeal et al., 2016; McLean, 2008). წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია ავტობიოგრაფიული მსჯელობის შეფასების ორი გზა: (ა) მნიშვნელობის ძიება ანუ მომხდარ ამბავში აზრის დანახვა. ითვლება, რომ ნარატივში მოცემულია მნიშვნელობის ძიება/პოვნა, როდესაც ინდივიდი ექსპლიციტურად ამბობს/ყვება, როგორ შეიცვალა მისი ხედვები წარსულში მომხდარ მოვლენაზე ფიქრის, რეფლექსიის შედეგად და ძალისხმევას სწევს პიროვნული გაგებისა და იდენტობის განვითარებისთვის. მნიშვნელობის პოვნა, უპირატესად, განისაზღვრება, როგორც თვალსაჩინო გაკვეთილი („არასოდეს ჩავიყენებ თავს ასეთ მდგომარეობაში“) და ინსაიტი („ძალიან დავშორდი ოჯახს“). (ბ) გავლენა ანუ რა გავლენას (დადებითს, უარყოფითს თუ არანაირს) ახდენს მომხდარი ამბავი მთხრობელზე.

1.3. ცხოვრების ისტორიის სტაბილობა და ცვალებადობა

ნარატიულ კვლევაში იმპლიციტურად მოცემული და ღრმად ფესვგამდგარი დაშვებაა, რომ ინდივიდები კონსისტენტურები არიან საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების თხრობისას. ეს დაშვება კარგად ჩანს სხვადასხვაგვარი ნარატივის აგრეგაციისას (მაგალითისთვის იხ. Blagov & Singer, 2004; Mansfield, Pasupathi, & McLean, 2015; McLean, Wood, & Breen, 2013), ნარატიულ იდენტობაში „შესახედი ფანჯრის“ სახით მხოლოდ ერთი მოვლენის თხრობის მოთხოვნას (მაგალითად, McLean & Pratt, 2006) თუ დროთა განმავლობაში ნარატივის სტაბილობის შესახებ ჰიპოთეზების გამოთქმისას

(McAdams, et al., 2006). აღნიშნული დაშვება და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სტრატეგიები პიროვნების, როგორც სტაბილური ბირთვის მქონეს, განსაზღვრებიდან მომდინარეობს (იხ. Fleeson & Jayawickreme, 2015).

პიროვნებისადმი დომინანტური მიდგომებისთვის ჩვეული სტაბილობის დაშვების პარალელურად, თავად ნარატიული იდენტობის შესახებ ლიტერატურაშიც მრავლად მოიძებნება თეორიული მიზეზები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ნარატივის სტაბილობის შესახებ დებულების მართებულობის მტკიცება. ნარატივი ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება და, ფაქტობრივად, წარმოადგენს კიდევ იდენტობას (McAdams, & McLean, 2013; McLean & Syed, 2015). ამიტომ მაკადამსი თვლის, რომ ნარატივი ინტეგრაციის ფუნქციას ასრულებს და ინდივიდის პიროვნების ერთიანობის შესაქმნელად ანუ ნაწილების გამაერთიანებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული (მაგალითისთვის იხ. McAdams & Cox, 2010; McAdams, & Olson, 2010). შესაბამისად, ეს ინტეგრაციულობა ნარატივის ნაკლებად ცვალებად ბუნებას მოიაზრებს. როგორ კვლევა აჩვენებს (იხ. Dunlop et al., 2013; McLean, 2008) ნარატივის მეტი ცვალებადობა სხვადასხვა (მაგალითად, პროფესიულ და პიროვნულ) სფეროში ნაკლებ შეგუებულობაზე მიუთითებს, თემატური კონსისტენტურობა კი — მეტ პოზიტიურ შეგუებაზე.

ნარატივის ინტეგრაციის (ანუ ნაკლებად ცვალებადობის) ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვნებაზე ფოკუსის წარმართვის საპირისპირო მოსაზრება კონტექსტუალისტური პოზიციიდან მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, ნარატივის მეტი ცვალებადობა მოქნილობასა და ადაპტირებადობაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს (McLean, Pasupathi, Greenhoot & Fivush, 2016). მაკადამსი (მაგალითისთვის იხ. McAdams & Manczak, 2011; McLean & Syed, 2015), ფაქტობრივად, ნარატივის განვითარებად ბუნებაზე მიუთითებს. ასევე, დღეისათვის ცნობილია, რომ ერთსა და იმავე მოვლენებს ადამიანები განსხვავებულად ყვებიან სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე (McLean, 2005; McLean & Jennings, 2012; Weeks & Pasupathi, 2010), დროთა განმავლობაში (Josselson, 2009; McAdams et al., 2006; Thorne et al., 1998) და სხვადასხვა ტიპის მოვლენების თხრობისას (Waters, Bauer, & Fivush, 2013), რაც კარგად აჩვენებს, რომ ამბები არ არის ქვაში ნაკვეთი და ნამდვილად ექვემდებარება ცვლილებას.

1.4. რა და როგორ შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების ისტორიაში

ცხოვრების ისტორიები, პიროვნების ნიშნებისგან განსხვავებით, მეტად ცვალებადია, ვინაიდან ცხოვრება წინ მიდის და ახალი მოვლენები ემატება ისტორიას. ამასთან, ახალმა ცხოვრებისეულმა მოვლენებმა, შესაძლოა, ცვლილებები შეიტანონ როგორც ინდივიდის მე-კონცეფციაში, ისე — მის მიერ საკუთარი პიროვნების ხედვაში და ახალი ინსაიტების წყარო გახდნენ (Pasupathi et al., 2007) და, საბოლოოდ, ცხოვრების ისტორიის გადასინჯვამდე მიიყვანოს იგი. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ცხოვრების ისტორიები იმგვარად დააკავშირებენ ინდივიდის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს ერთმანეთთან, რომ მან საკუთარი თავი და განვითარება უწყვეტად და მნიშვნელობის მქონედ აღიქვას (მაგალითისთვის იხ. McAdams, 2013; Kober & Habermas, 2017). ამგვარად, ახალი ცხოვრებისეული მოვლენები და ცვლილებები მე-კონცეფციაში ცხოვრების ისტორიის მოდიფიცირების მამოტივირებელი შეიძლება გახდეს და ახლებურად დალაგებული იმგვარი ამბის შექმნას ისახავდეს მიზნად, რომ სანდოდ და დამაჯერებლად მიგვიყვანოს მთხრობელის ამჟამინდელ იდენტობამდე.

ცხოვრების ისტორიები, ფაქტობრივად, ოთხი სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს: (ა) როგორ ახდენს მთხრობელი საკუთარი ცხოვრების ისტორიის ინტერპრეტაციასა და შეფასებას ანუ ყოველი შემდგომი თხრობისას რამდენად მსგავსად თუ განსხვავებულად ყვება ინდივიდი საკუთარი ცხოვრების ისტორიას, აფასებს მას და ახდენს ინტერპრეტაციას (მაგალითისთვის იხ. Dunlop, Guo, & McAdams, 2016; Josselson, 2009; McAdams et. al., 2006); (ბ) რომელ ცენტრალურ ნარატიულ თემებს ირჩევს მთხრობელი ცხოვრების ისტორიაში ჩასართველად ანუ რამდენად სტაბილურად ნარჩუნდება ნარატივში, მაგალითად, ძალაუფლების, მიღწევის, აფილიაციისა და ინტიმურობის თემები, აფექტები და ურთიერთქმედების პატერნები (მაგალითისთვის იხ. Demorest & Alexander, 1992; McAdams et. al., 2006; Tomkins, 1987; Williams & Conway, 2009); (გ) რომელი კონკრეტული მოვლენები შეაქვს ან არ შეაქვს მთხრობელს ცხოვრების ისტორიაში (McAdams et. al., 2006; Kober & Habermas, 2017; Mackinnon, De Pasquale, & Pratt, 2016), ვინაიდან ცხოვრების ისტორიაში ერთი და იგივე მოვლენების განმეორებითად ჩართვა ცხოვრების ისტორიის სტაბილურობასა და ცნობადობას უზრუნველყოფს და (დ) როგორ ცვლის მთხრობელი ნარატივის ისეთ ძირითად მახასიათებლებს, როგორცაა ნარატივის თანმიმდევრულობა, ავტობიოგრაფიული მსჯელობა, ემოციური ფონი, გადაწყვეტა, კომპლექსურობა და სტრუქტურა (მაგალითისთვის იხ. McAdams et. al., 2006; McLean, 2008; McLean et. al, 2016; Reese et. al., 2011). დასახელებული მიმართულებებით ნარატივის სტაბილობა-ცვალებადობის გასაზომად საჭიროა განმეორებითი ცხოვრების ისტორიების ურთიერთშედარება, რომლებსაც დროის შედარებით ვრცელი პერიოდები აშორებენ ერთმანეთს.

ამრიგად, ცხოვრების ისტორიის ინტრაინდივიდუალური ცვალებადობის ორ ფორმაზე შეგვიძლია ვისაუბროთ: (ა) რა და როგორ იცვლება დროის ერთ მომენტში მოყოლილ მსგავსი და/ან განსხვავებული ტიპის ისტორიებში (მაგალითისთვის იხ. McLean et al., 2016) და (ბ) რა და როგორ იცვლება დროის სხვადასხვა მომენტში მოყოლილ მსგავსი და/ან განსხვავებული ტიპის ისტორიებში (მაგალითისთვის იხ. Kober & Habermas, 2017; McAdams, et. Al., 2006). მოცემული კვლევა ნარატივის ცვალებადობის მეორე ფორმაზე ფოკუსირდება და კვლევის საგანს ნარატივის კონკრეტული მახასიათებლების ცვალებადობა წარმოადგენს: როგორ იცვლება და რა მიმართებაშია ერთმანეთთან სამწლიანი შუალედით ჩაწერილ ცხოვრების ისტორიებში პერსონალური ნარატივის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა მოვლენის ტიპი, ნარატივის სტრუქტურა და ავტობიოგრაფიული მსჯელობის ხარისხი.

2. კვლევის მიზანი და ჰიპოთეზები

კვლევა მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ რამდენად უკავშირდება პერსონალური ნარატივის ინტრაინდივიდუალური ცვალებადობა დროში მოვლენის ტიპსა და ავტობიოგრაფიული მსჯელობის ხარისხს პირადი ცხოვრებიდან მოვლენების თხრობისას. სხვა სიტყვებით, სამწლიანი შუალედით ცხოვრების ისტორიის განმეორებითი თხრობისას რამდენად იცვლება ნარატივის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა მოვლენის ტიპი (ანუ რის შესახებ ყვება ადამიანი ამბავს), ავტობიოგრაფიული მსჯელობის ხარისხი (ანუ მნიშვნელობის ძიების/პოვნის ხარისხი და მომხდარი ამბის გავლენა პიროვნებაზე) და დადებითად გადაწყვეტა (ანუ ის, თუ რამდენად დადებითად გადაწყდა/დასრულდა ამბავი) და რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული მახასიათებლების დროში ცვლილების წინასწარმეტყველება.

ვვარაუდობთ, რომ პერსონალური ნარატივის ინტრაინდივიდუალური ცვალებადობა დროთა განმავლობაში კავშირში უნდა იყოს ნარატივის აღნიშნული მახასიათებლების ცვლილებასთან.

ამასთან, არსებულ კვლევებზე დაყრდნობით (მაგალითისთვის ხეჩუაშვილი, 2016c; McAdams et al., 2006) ვვარაუდობთ, რომ პირველი თხრობისას (T1) მოყოლილი ამბების, სულ, მცირე, მესამედი გამეორდება სამი წლის შემდეგ მეორედ მოყოლისას (T2), თუმცა, შედარებით უცვლელად შენარჩუნდება მოვლენის ტიპი ანუ თემა.

ასევე, ვვარაუდობთ, რომ კონკრეტული მოგონებების გამეორების სიხშირე არ იქნება დამოკიდებული მოგონების ტიპზე ანუ იმაზე, პიკურ გამოცდილებას ყვება რესპონდენტი, ცხოვრების უარყოფითი, გარდამტეხი ანდა მკაფიო მომენტების თუ დანაკარგისა და ცხოვრებისეული გამოწვევების შესახებ.

ამრიგად, კვლევის ჰიპოთეზებია:

ჰიპოთეზა N1: კვლევის ერთი და იმავე მონაწილის მიერ სამწლიანი შუალედით (T1-დან T2-ზე) მოთხრობილი ცხოვრების ისტორიის შემადგენელი კონკრეტული ამბების

- 1.1. მხოლოდ ნაწილი გამეორდება;
- 1.2. გამეორება არ იქნება დამოკიდებული მოგონების ტიპზე,

ჰიპოთეზა N2: ნარატივის საკვლევი მახასიათებლები დროის თითოეულ მომენტში (T1 და T2 ცალკ-ცალკე) კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან, კერძოდ, დროის ორივე მომენტში

- 2.1. მოგონების ტიპის მიხედვით უნდა იცვლებოდეს ავტობიოგრაფიული მსჯელობა;
- 2.2. მოგონების ტიპის მიხედვით არ უნდა იცვლებოდეს ამბის დადებითი გადაწყვეტა ანუ ნარატივის სტრუქტურა;
- 2.3. მოგონების ტიპის მიხედვით უნდა იცვლებოდეს მოვლენის ტიპი ანუ თემა, რომლის შესახებაც ყვებიან რესპონდენტები;
- 2.4. დადებითი გადაწყვეტა კავშირში უნდა იყოს ავტობიოგრაფიულ მსჯელობასთან.

ჰიპოთეზა N3: პერსონალური ნარატივის ინტრაინდივიდუალური ცვალებადობა დროთა განმავლობაში აისახება ნარატივის საკვლევი მახასიათებლების მაჩვენებლების ცვლილებაში, კერძოდ:

- 3.1. სტაბილურად უნდა ნარჩუნდებოდეს ცხოვრების ისტორიაში ჩართული კონკრეტული მოვლენების ტიპი ანუ თემა, რის შესახებაც მოგვითხრობს ინდივიდი;
- 3.2. სტაბილურად უნდა ნარჩუნდებოდეს ავტობიოგრაფიული მსჯელობა და/ან მისი ცალკეული მდგენელები;
- 3.3. სტაბილურად უნდა ნარჩუნდებოდეს მოთხრობილი ამბის პოზიტიური გადაწყვეტა ანუ თხრობის სტრუქტურა.

ჰიპოთეზა N4: პირველი თხრობისას ნარატივის საკვლევის მახასიათებლების მაჩვენებლებით ან მათი კომბინაციით შესაძლებელი უნდა იყოს მეორე თხრობისას ამავე მახასიათებლების ან მათი რომელიმე მდგენელის მაჩვენებლების წინასწარმეტყველება.

4. მეთოდი

კვლევა შესრულებულია შერეული დიზაინით. კერძოდ, მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა, ხოლო მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის — რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომების კომბინაცია აქედან გამომდინარე, შედეგების აღწერისა და ინტერპრეტაციის ნაწილიც შერეულ ხასიათს ატარებს და არ მიჰყვება ტრადიციულ პოზიტივისტურ ჩარჩოში შესრულებული კვლევის ანგარიშის ფორმას და არც წმინდად ინტერპრეტაციული (თვისებრივი) ანგარიშის ფორმა აქვს: მასში წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი (სტატისტიკური), ისე თვისებრივი (ამონარიდები ინტერვიუებიდან) მონაცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტატიაში გაანალიზებული მონაცემები აღებულია უფრო ფართომასშტაბიანი კვლევითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული რამდენიმე ეტაპიანი, შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევის მონაცემთა ერთობლიობიდან. შესაბამისად, ქვემოთ აღწერილი შერჩევისა და ინსტრუმენტების გარდა, კვლევაში სხვა მონაწილეებიც იყვნენ ჩართულნი და სხვა მეთოდებიც იქნა გამოყენებული, თუმცა აქ მხოლოდ კვლევის ამ ნაწილისთვის რელევანტურ შერჩევასა და ინსტრუმენტებზე შევჩერდებით.

4.1. მონაწილეები

კვლევაში გენერალური პოპულაციიდან შემთხვევითი ალბათური, ხელმისაწვდომი და თოვლის გუნდის შერჩევის პროცედურებით შერჩეული, საქართველოში მცხოვრები 15 მოზრდილი ადამიანი მონაწილეობდა (ასაკი: დიაპაზონი 25-82 წელი ($M= 47, 6 (17)$)). მათგან 7 დასაოჯახებელი იყო და 8 დაოჯახებული. კვლევის ყველა მონაწილეს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება (მინიმუმ ხუთწლიანი საუნივერსიტეტო განათლება ან ბაკალავრიატი). მათგან სამი მონაწილე იყო სტუდენტი, 3 — პენსიონერი და 9 დასაქმებული (საჯარო ან კერძო სექტორში).

4.2. ინსტრუმენტები

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ მაკადამსის მიხედვით (McAdams, 1993; ხეჩუაშვილი, 2016c) ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუა წინასწარ გაწერილი სტანდარტული ღია კითხვებით, რომელშიც მონაწილეს ჯერ სთხოვენ, რომ თავის ცხოვრებაზე, როგორც წიგნზე, ისე დაფიქრდეს, რომელიც რამდენიმე თავისგან შედგება; გამოადიფერენციროს თავები, დაასათაუროს და მოკლედ აღწეროს მათი შინაარსი. შემდეგ მონაწილე აღწერს რვა ძირითად სცენას ანუ ეპიზოდს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის ცხოვრებაში ან თვითგანმსაზღვრელ მოვლენებს შეიცავს. აქ შედის პიკური და მძიმე გამოცდილებები და გადამწყვეტი მომენტები. თითოეული ეპიზოდი რესპონდენტმა დეტალურად უნდა აღწეროს: ზუსტად რა მოხდა, ვინ იყო სიტუაციაში ჩართული, რას ფიქრობდა და გრძნობდა ის ამ მოვლენის განვითარებისას და რას უნდა ნიშნავდეს ეს მოვლენა მისი ერთიანი ცხოვრებისეული ისტორიის კონტექსტში. შემდეგ მონაწილეს სთხოვენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოწვევის შესახებ მოყვეს, აღწეროს ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები თავის ისტორიაში და ამბის მომავალი თავებიც; ასევე, ახსნას თავისი ფუნდამენტური რელიგიური, ეთიკური და პოლიტიკური ღირებულებები და მათი განვითარების გზები. ინტერვიუს დასასრულს მონაწილეს სთხოვენ, გადახედოს თავის მონათხრობს და გამოყოს ცენტრალური თემა

ან შეტყობინება (Crossley, 2011; McAdams, 2006). ასეთი ინტერვიუ დაახლოებით ორ საათს გრძელდება. როგორც წესი, ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი კეთდება და შემდგომში იწერება ტრანსკრიპტი (ხეჩუაშვილი, 2016c).

4.3. პროცედურა

ინფორმირებული თანხმობა. დროის პირველ მომენტში (T1) კვლევის მონაწილეებთან ცხოვრების ისტორიის ინტერვიუების ჩაწერა მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის ფორმის წაკითხვისა და ხელმოწერის შემდეგ ეძლეოდათ. კვლევის ასისტენტები პასუხობდნენ ყველა კითხვას კვლევის პროცედურების, კვლევიდან გამოთიშვის, მონაცემთა საკუთრების, ანონიმურობა/კონფიდენციალობის, გამოქვეყნების და ა. შ. საკითხების შესახებ. ამასთან, თითოეულ მონაწილეს დეტალურად უხსნიდნენ, თუ რა მიზნით და როგორ მოხდებოდა ინტერვიუს ჩაწერა, ტრანსკრიპტის გაკეთება და მონაცემების შემდგომი დამუშავება ისე, რომ მათი კონფიდენციალობა და ანონიმურობა დაცული ყოფილიყო.

განმეორებითი ინტერვიუების (T2) შემთხვევაში კვლევის მონაწილეებს, ასევე, მიეწოდებოდათ ინფორმირებული თანხმობის ფორმა, რომელიც აცნობდა მათ განმეორებითი ინტერვიუს მიზნებს და პირობებს, რომელიც მანამდე ჩატარებული ინტერვიუს (T1) ანალოგიური იყო.

საველე სამუშაოს მიმდინარეობა. საველე სამუშაო თითოეულ მონაწილესთან ორი ნაწილისგან შედგებოდა. ინფორმირებული თანხმობის ხელმოწერისა და კვლევაში მონაწილეობაზე სრული თანხმობის განცხადების შემდეგ მონაწილეს ინდივიდუალურად ეძლეოდა დემოგრაფიული მონაცემების ბლოკი, რომელსაც ის თავად ავსებდა.

კვლევის მონაწილეს ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს პირველი ზოგადი ინსტრუქცია მიეწოდებოდა, რომელსაც შემდგომ უფრო კონკრეტული კითხვები მოჰყვებოდა ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების, გამოწვევების, ღირებულებების, იდეოლოგიისა და სამომავლო გეგმების შესახებ.⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუ და დემოგრაფიული მონაცემების ბლოკის მიწოდების თანმიმდევრობა ვარირებდა ინსტრუქციის ეფექტის თავიდან ასაცილებლად. სხვა სიტყვებით, ზოგ რესპონდენტს ჯერ დემოგრაფიული მონაცემების შესახებ ბლოკი მიეწოდებოდა და შემდეგ იწერებოდა ინტერვიუ, ზოგთან კი ეს თანმიმდევრობა შებრუნებული იყო.

ადგილი და ხანგრძლივობა. საველე სამუშაოების პირველი ნაწილი 2014 წელს განხორციელდა, ხოლო განმეორებითი ინტერვიუები 2017 წელს ჩაიწერა.

თითოეულ მონაწილესთან შეხვედრას საშუალოდ 2-2.5 საათი დასჭირდა, შესავლის, ინფორმირებული თანხმობის გაცნობისა და ხელმოწერის, დემოგრაფიული მონაცემების შეგროვების, დემოგრაფიული მონაცემების შევსებისა და თავად ინტერვიუს ჩათვლით; თუმცა, ზოგიერთი ინტერვიუ მხოლოდ 35 წუთს გაგრძელდა, ზოგმა კი თითქმის სამი საათი გასტანა. ინტერვიუს ხანგრძლივობის ასეთი ცვალებადობა დამოკიდებული იყო კვლევის მონაწილეთა ზოგად ვერბალურ უნარებზე, თვითრეფლექსიის შესაძლებლობასა და სურვლიზე და, ასევე, საკუთარი გამოცდილების ნარატივის სახით მოთხრობის შესაძლებლობაზე.

⁴ მე თოდის და ინსტრუქციის უფრო დეტალური აღწერისთვის იხ. ხეჩუაშვილი, 2016c.

4.4. ნარატივების კოდირება

აუდიოჩანაწერებიდან დაიწერა ყველა ინტერვიუს სიტყვა-სიტყვითი ტრანსკრიპტი (Crossley, 2011), რომელიც ორმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა გადააკოდირა. კოდირების პროცესში თითოეული შემფასებელი მეორესგან დამოუკიდებლად ანიჭებდა კოდებს ნარატივებს წინასწარ შემუშავებული კოდების წიგნის მიხედვით. შემდეგ ორივე შემფასებელი და მკვლევარი (სტატიის პირველი ავტორი) ერთად არჩევდნენ თითოეული ინტერვიუს კოდებს. მონაცემთა დიდი ნაწილი სტატიის მეორე ავტორმა გადააკოდირა.

აქვე უნდა ითქვას, რომ დათვლილ იქნა თითოეული მონაწილის მიერ დროის ორივე (T1 და T2) მომენტში თხრობისას გამოყენებული სიტყვების რაოდენობა. არსებული კვლევები აჩვენებს, რომ (მაგალითისთვის იხ. McAdams et al., 2004; 2006) სხვადასხვა ტიპის მოგონების/სცენის თხრობისას გამოყენებული სიტყვების რაოდენობა მჭიდრო დადებით კავშირშია ერთმანეთთან. შესაბამისად, მაკადამისა და მისი კოლეგების (2006) გამოცდილების შესაბამისად, გადამწყვეტი მოვლენის თხრობისთვის გამოყენებული სიტყვების რაოდენობა მთლიანად ცხოვრების ისტორიის მოსათხრობად გამოყენებული სიტყვების რაოდენობის სანდო რეპრეზენტაციად ჩაითვალა. ამიტომ მხოლოდ გადამწყვეტი მოვლენის თხრობისას გამოყენებული სიტყვების რაოდენობა იქნა დათვლილი და შემდგომ ანალიზში — გაკონტროლებული.

4.4.1. გადაკოდირებული მოგონებები და ანალიზის ძირითადი ერთეული

ანალიზის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა კონკრეტული მოვლენა ან ეპიზოდი ცხოვრების ისტორიაში, რომელიც კონკრეტულ დროსა და ადგილას ხდება და კონკრეტულ მოქმედებებსა და მოქმედ პირებს მოიცავს; რომელსაც აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებთან დროის ორ მომენტში (სამწლიანი შუალედით) ვრცელი ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩაიწერა, მოცემული კვლევისთვის გადასაკოდირებლად თითოეული ინტერვიუდან შეირჩა 12 ნარატივი ანუ მოგონება ანუ 12-12 (სულ 24) მოგონება თითოეული მონაწილის შემთხვევაში T1 და T2 ინტერვიუებიდან. სულ გადაკოდირდა $(12 \times 15) \times 2 = 360$ მოგონება. ეს მოგონებები იყო: (ა) ცხოვრების ისტორიის რვა ძირითადი სცენა: პიკური, უარყოფითი და გარდამტეხი/გადამწყვეტი მომენტები, ბავშვობის დადებითი და უარყოფითი მოგონება, ერთი მკაფიო მოგონება მოზრდილობის პერიოდიდან, სიბრძნის შემცველი მოვლენა და მოგონება, რომელიც სულიერ ანდა რელიგიურ გამოცდილებას უკავშირდება და (ბ) ცხოვრებისეული გამოწვევები: მთავარი გამოწვევა ცხოვრებაში, ჯანმრთელობის პრობლემასთან დაკავშირებული მოგონება, დანაკარგის და სინანულის/მარცხის ამბავი. დასახელებული მოგონებები ქმნიან ცვლადს „მოგონების ტიპი“. თითოეული ნარატივი გადაკოდირდა ქვემოთ წარმოდგენილი ცვლადების მიხედვით.

4.4.2. მოვლენის ტიპი

მოვლენის ტიპი, ფაქტობრივად, გვიჩვენებს, რის შესახებ არის მოცემული მოგონება. (McLean & Pratt, 2006) მოვლენის ტიპის ანუ ნარატივის თემის კოდირებისთვის მოდიფიცირდა კოდების უკვე არსებული სისტემა (McLean & Pratt, 2006; McLean & Been, 2009; Thorne, McLean & Lawrence, 2004). მაკლინისა და ბრინის (2009) კოდების აღწერილობიდან ავიღეთ მხოლოდ ჩვენი მონაცემებისთვის რელევანტური ნაწილი.

შესაბამისად, მოვლენის ტიპი აღიწერა ექვსი თემით (კონის კაპა $k_{T1}=.89$; $k_{T2}=.69$): ურთიერთობების ამსახველი მოვლენები ფოკუსირდებოდა ინტერპერსონალურ შეხვედრებზე (ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები, რომანტიკული ურთიერთობები), რომლებშიც გამოკვეთილია ურთიერთობებთან დაკავშირებული (რელაციური) საფიქრალები. საკუთარი თავისა და ღირებულებების შესახებ ამბებში გადმოცემულია საკუთარი ხასიათის და პიროვნების შესახებ რაღაც ახლის გაგების ისტორია. აქ შედის, ასევე, ამბები საკუთარი პოლიტიკური რწმენების, მორალური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ. მიღწევის ამსახველ მოვლენებში გამოკვეთილია პროფესიული, ფიზიკური, სოციალური ან სპირიტუალური/სულიერი მიზნების მიღწევისთვის გაღებული ძალისხმევა და მცდელობა, როგორცაა კოლეჯში ჩაბარება და სპორტში, სამსახურსა თუ ხელმძღვანელობაში მიღწეული წარმატება, გამორჩეული მიღწევები. აქ განხილული თემები შეიძლება იყოს კარიერა, ახალი იდეების მიგნება სამომავლოდ ან/და ახალი უნარების აღმოჩენა და განვითარება. ავტონომიის ამსახველ მოვლენებში ხაზგასმულია სხვებისგან დამოუკიდებლად გახდომა. დამაბულობაზე ნარატივში მიუთითებს დისკომფორტის, უთანხმოების ან სირთულეების/სიძნელეების ნებისმიერი მახასიათებელი. მოკვდაობის შესახებ ამბებში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებზეა საუბარი. აქ შედის ამბები უბედური შემთხვევების, სიკვდილის ან სიკვდილთან მიახლოებული მდგომარეობის შესახებ.

4.4.3. ნარატივის სტრუქტურა: მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ანუ დადებითი გადაწყვეტა

მაკადამსი (2008) ცხოვრების ისტორიის ანდა მასში შემავალი ცალკეული ისტორიის დალაგების ორ ძირითად სტრუქტურაზე ანუ თანმიმდევრობაზე საუბრობს. ესენია კონტამინაციის ანუ გადაფარვის და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა. ეს უკანასკნელი მოყოლილი ამბის დადებით დასასრულს, ამბავში აღწერილი სიტუაციის დადებითად გადაწყვეტაზე მიუთითებს. ისტორიის სწორედ ამგვარი დალაგება გადაკოდირდა მოცემულ კვლევაში. ამრიგად, ნარატივი მიიჩნეოდა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონედ (ხეჩუაშვილი, 2016c; McAdams, 2008) და ენიჭებოდა კოდი „1“, თუ მასში ექსპლიციტურად იყო წარმოდგენილი უარყოფითი მდგომარეობიდან დადებითზე გადასვლა ორიდან ერთ-ერთი ფორმით ($k_{T1}=.88$; $k_{T2}=.68$): (ა) რესპონდენტის აზრით, უარყოფითი მოვლენა, სცენა, ეპიზოდი იწვევდა დადებით მოვლენას, სცენას, ეპიზოდს („შობიარობა თითქმის 24 საათს გაგრძელდა, ძალიან დავიტანჯე, სამაგიეროდ, ისეთი სიხარული გაჩნდა, რომ მის პირველივე ყვირილზე სულში სითბო ჩამელვარა და ყველა ტკივილი დამავიწყა“) ან (ბ) უარყოფითი მოვლენა უშუალოდ დროში უსწრებდა დადებით მოვლენას („ფეხი მოვიტეხე და ტკივილსგან გონება დავკარგე. შემდეგ მახსოვს, რომ მთელი ოჯახი თავს დამტრიალებდა და ყველანი სიყვარულით სავსე თვალებით მიყურებდნენ“). ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნარატივს სტრუქტურის მიხედვით მიენიჭა კოდი „0“. მაკომპენსირებელ თანმიმდევრობად არ ჩაითვალა მოვლენების ისეთი დალაგება, როდესაც, მაგალითად, მთხრობელი ჯერ ყვება 30 წლის ასაკში გადატანილ მძიმე გამოცდილებას და შემდეგ ბავშვობის ნათელ მოგონებას მოგვითხრობს. მიუხედავად იმისა, რომ ნარატივში უარყოფითი მოვლენა წინ უსწრებს დადებითს, რეალურად ერთი მეორეს შემდეგ დიდი დროის გასვლის შემდეგ მოხდა. ამიტომ ეს ვერ იქნება მაკომპენსირებელი.

4.4.4. ავტობიოგრაფიული მსჯელობა

ავტობიოგრაფიული მსჯელობა ორი კომპონენტისგან შედგება: რამდენად დახვეწილად და სრულად არის წარმოდგენილი მნიშვნელობა მონათხრობში და რა გავლენა მოახდინ მოცემულმა ამბავმა მთხრობელზე.

მნიშვნელობის/აზრის დახვეწილობის აღმნიშვნელი კოდები თავდაპირველად ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიულ სისტემას წარმოადგენდა და მოიცავდა კატეგორიებს: მნიშვნელობის უქონლობა, გაკვეთილი ან ინსაიტი (McLean, 2005; McLean & Thorne, 2003; Thorne et al., 2004). გამოცდილებამ აჩვენა, რომ მნიშვნელობის წრფივი კოდირების სისტემა უფრო ეფექტურია (McLean & Pratt, 2006). შესაბამისად, მაკლინისა და თორნის მიერ შემუშავებული სისტემა წრფივად (0-3) გარდაიქმნა, რომელშიც უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე ქულა ავტობიოგრაფიული მსჯელობის მზარდ კომპლექსურობაზე მიუთითებს.⁵ ასევე, კვლავ ითვალისწინებს მნიშვნელობის იმგვარ ოპერაციონალიზაციას, რომ „გაკვეთილი“ საზრისის ნაკლებად დახვეწილი ფორმაა, ვიდრე „ინსაიტი“ (McLean & Thorne, 2003). მოცემულ კვლევაში სწორედ ეს წრფივი სისტემა იქნა გამოყენებული მნიშვნელობის კოდირებისთვის ($k_{T1}=.80$; $k_{T2}=.67$).

მოგონებას ენიჭებოდა კოდი „0“ (საზრისის უქონლობა), თუ მთხრობელი უბრალოდ ყვებოდა ამბავს და ნარატივში საერთოდ არ იყო საუბარი მოვლენის აზრზე/მნიშვნელობაზე; მთხრობელი არ გვიხსნიდა, რა მნიშვნელობა აქვს ამ ამბავს მისთვის. კოდი „1“-ის შემთხვევაში ნარატივში ნათქვამი იყო, რომ მთხრობელმა მომხდარიდან რაღაც ისწავლა, ეს გაკვეთილი იყო მისთვის. გაკვეთილი (კოდირების თავდაპირველი სისტემის მსგავსად) განისაზღვრება, როგორც მნიშვნელობა/საზრისი, რომელიც ხშირად ქცევითია და არ სცილდება თავდაპირველად მოყოლილ კონკრეტულ ამბავს. ამ დროს მთხრობელი მიუთითებს აზრებსა და განხორციელებულ ქმედებებზე, მაგრამ მისი მსჯელობა არ არის კომპლექსური. მონათხრობს ენიჭებოდა კოდი „2“, თუ ნარატივი შეიცავდა მნიშვნელობას/საზრისს, რომელიც ოდნავ უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე გაკვეთილი, მაგრამ არც ისე ექსპლიციტური ანუ ცხადად გამოკვეთილი, როგორც ინსაიტი. გაკვეთილის შემთხვევაში ნარატივში აღწერილია გარკვეული ზრდა ან ცვლილება სელფში, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, რა ცვლილებაზეა საუბარი. დაბოლოს, კოდი „3“ ენიჭებოდა ნარატივს, რომელშიც ექსპლიციტურად იყო ნათქვამი, რომ მთხრობელმა კონკრეტულ ინსაიტს მიაგნო აღწერილი მოვლენის კონტექსტში, რომელიც მისი ცხოვრების უფრო ფართო სფეროებზე ვრცელდება, ვიდრე ეს კონკრეტული სიტუაციაა. სხვა სიტყვებით, ინსაიტი სცილდება ნარატივში აღწერილ კონკრეტულ მოვლენას და ინდივიდის მიერ საკუთარი თავის, სამყაროს ან ურთიერთობების გაგებაში ექსპლიციტურ ტრანსფორმაციას გვიჩვენებს.

გავლენის ცვლადი გულისხმობს ნარატივში იმის ნახვას, აღწერილმა მოვლენამ როგორი ფსიქოლოგიური ან რელაციური (ურთიერთობითი) გავლენა მოახდინა მასზე. ეს შეიძლება იყოს გაუმჯობესება (დადებითი გავლენა) ან გაუარესება (უარყოფითი გავლენა). გავლენის დებულებებში აღწერილია არა ის, თუ რამაც თავად მოვლენის შემადგენელი მოქმედებები გამოიწვია ან აღძრა, არამედ ამ მოვლენის შედეგები, რომლებიც მოვლენის დასრულების შემდეგაც დარჩა. ემოციური მიმართულების არმქონე დებულებები ძალიან იშვიათად გვხვდება და თუ არის, ისინი დადებით/

⁵ ამასთან, მნიშვნელობის კომპლექსურობა მატულობს ასაკთან ერთად (მაგალითისთვის იხილეთ Habermas & Paha, 2001; McCabe et al., 1991; McLean, 2005; Pratt et al., 1999).

ნეიტრალურ კატეგორიას მიეკუთვნება. საბოლოო ჯამში, გავლენა დიქტომიური ცვლადია⁶ და სახელდების სკალაზე გადაკოდირდა.

5. შედეგები და ინტერპრეტაცია

წინამდებარე კვლევის შედეგები ორ ნაწილად არის წარმოდგენილი. პირველ ნაწილში ცალ-ცალკე ბლოკებად არის მოცემული აღწერითი სტატისტიკა და გამოვლენილი მიმართებები კვლევაში ჩართული ცვლადებისთვის. მეორე ნაწილში გაანალიზებულია საკვლევ ცვლადებს შორის გამოვლენილი მიმართებები, რასაც თან ახლავს მიღებული შედეგების მთლიანობითი ინტერპრეტაცია და ილუსტრირებულია ინტერვიუებიდან ამონარიდებით.

5.1. აღწერითი სტატისტიკა

5.1.1. ცხოვრების ისტორიის შემადგენელი კონკრეტული მოგონებები: T1 და T2

ცხოვრების ისტორიის მეორედ თხრობისას კონკრეტული მოგონებების დაახლოებით მესამედი (27% ანუ 49 ნარატივი 180-დან) გამეორდა, თუმცა, მოგონების გამეორება ($T1 \rightarrow T1$) არ იყო დამოკიდებული მოყოლილი გამოცდილების ანუ მოგონების ტიპზე ($\chi^2(11) = 19.153, p = .058$). სხვა სიტყვებით, არ იყო დამოკიდებული იმაზე, კვლევის მონაწილე საკუთარი ცხოვრების პიკურ მოგონებას ყვებოდა, უარყოფით, გადამწყვეტ, გამოწვევის შემცველ თუ რომელიმე სხვა ტიპის გამოცდილების ამსახველ მოგონებას. შესაბამისად, სრულად დადასტურდა ჰიპოთეზა N1.

5.1.2. ნარატივში აღწერილი მოვლენის ტიპი ანუ თემა, მნიშვნელობა, გავლენა და დადებითი გადაწყვეტა: T1 და T2

ცხრილში N1 მოცემულია კვლევის მონაწილეების ცხოვრების ისტორიებში საკვლევი ცვლადების (მოვლენის ტიპის, მნიშვნელობის, გავლენისა და დადებითი გადაწყვეტის) განაწილება პირველი და მეორე თხრობისას.

⁶ წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებული იქნა გავლენის კოდირების გამართივებულო სისტემა. ორიგინალური სისტემისთვის იხ. Greenhoot et al, 2013; McLean et al, 2016.

ცხრილი N1. მოვლენის ტიპის, მნიშვნელობის, გავლენისა და დადებითი გადაწყვეტის განაწილება ცხოვრების ისტორიის თხრობის T1 (180 ნარატივი) და T2 (180 ნარატივი) მომენტისთვის (სულ 360 ნარატივი).

ცვლადი	სიხშირე (%)	
	T1	T2
ნარატივში ასახული მოვლენის ტიპი ანუ თემა		
ურთიერთობები	40 (22.2%)	33 (18.3%)
სელფი და ღირებულებები	10 (5.6%)	27 (15.0%)
მიღწევა	18 (10.0%)	18 (10.0%)
ავტონომია	2 (1.1%)	4 (2.2%)
მოკვდავობა	24 (13.3%)	19 (10.6%)
დამაბულობა/დისკომფორტი	25 (13.9%)	22 (12.2%)
სხვა	61 (33.9%)	57 (31.7%)
ნარატივში გადმოცემული მნიშვნელობა		
მნიშვნელობის უქონლობა	100 (55.6%)	97 (53.9%)
გაკვეთილი	51 (28.3%)	44 (24.4%)
ბუნდოვანი მნიშვნელობა	16 (8.9%)	25 (13.9%)
ინსაიტი	13 (7.2%)	14 (7.8%)
ნარატივში გადმოცემული ამბის გავლენა მთხრობელზე		
არანაირი	100 (55.6%)	97 (53.9%)
დადებითი/ნეიტრალური	63 (35.0%)	67 (37.2%)
უარყოფითი	17 (9.4%)	16 (8.9%)
დადებითი გადაწყვეტა		
არის	46 (25.6%)	31 (17.2%)
არ არის	134 (74.4%)	149 (82.8%)

შენიშვნა: ცხრილში მხოლოდ სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული განაწილებებია მოცემული $p < .01$.

კვლევაში ჩართული ოთხივე ცვლადის — მოვლენის ტიპის, საზრისის, გავლენისა და გადაწყვეტის — განაწილება დროის ორივე მომენტში განსხვავდება იმისდა მიხედვით, რა ტიპის მოგონებას ყვება კვლევის მონაწილე. ერთადერთ გამოწვევის გადაწყვეტის ცვლადი წარმოადგენს დროის მეორე მომენტში (იხ. ცხრილი N2). შესაბამისად, T1-სთვის დადასტურდა N2 ჰიპოთეზის 2.1 და 2.3 ნაწილები და არ დადასტურდა 2.2 ნაწილი, ხოლო T2-სთვის — დადასტურდა 2.1, 2.2 და 2.3 ნაწილები.

უფრო კონკრეტულად, დამაბულობის თემა, უპირატესად, ბავშვობის უარყოფით (T1, T2) და ცხოვრებისეული გამოწვევის (T2) მოგონებებში გვხვდება, მოკვდაობის თემა — უარყოფითი გამოცდილებისა და დანაკარგის შესახებ ამბებში (T1, T2). საკუთარი სელფისა და ღირებულების შესახებ კვლევის მონაწილეები, ძირითადად, გადამწყვეტი მოვლენის თხრობისას საუბრობენ (T1, T2), მიღწევის შესახებ კი — პიკური გამოცდილების (T1, T2), გამოწვევისა (T1) და მოზრდილობის მკაფიო მოგონების (T2) გახსენებისას. ურთიერთობების თემა თითქმის თანაბრად ნაწილდება ყველა ტიპის მოგონებაში დროის ორივე მომენტში, თუმცა შედარებით გამოკვეთილად და ხშირად

არის წარმოდგენილი პიკურ გამოცდილებაში, ბავშვობის დადებით მოგონებებში, დანაკარგის შესახებ ამბებსა (T1, T2) და სიბრძნის შემცველ მოვლენებში (T1). თემები, რომლებიც არც ერთ წინასწარ განსაზღვრულ კონკრეტულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა და გაერთიანდა კატეგორიაში „სხვა“, უპირატესად, სპირიტუალური გამოცდილებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ თხრობისას იყო წარმოდგენილი (სტატისტიკური მაჩვენებლებისთვის იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2. ანალიზში ჩართული ცვლადების განაწილება მოგონების ტიპის მიხედვით: T1 და T2

საკვლევი ცვლადები	დროის მომენტი	
	T1	T2
მოვლენის ტიპი	* $\chi^2(66)=201.362, p=.000$	* $\chi^2(66)=184.567, p=.000$
საზრისი	* $\chi^2(33)=48.143, p=.043$	* $\chi^2(33)=55.924, p=.008$
გავლენა	* $\chi^2(22)=53.823, p=.000$	* $\chi^2(22)=63.768, p=.000$
გადაწყვეტა	* $\chi^2(22)=42.862, p=.005$	-- $\chi^2(22)=24.535, p=.320$

5.1.3. კვლევაში ჩართული ცვლადების ცვალებადობა-სტაბილობა: T1 და T2

კვლევაში ჩართული ოთხივე ცვლადი (მოვლენის ტიპი, საზრისი, გავლენა და გადაწყვეტა), ფაქტობრივად, სტაბილურად შენარჩუნდა სამწლიანი შუალედის შემდეგ ($-.907 < t(179) < 1.578, p > .116, CI [-.078 — .182]$) ანუ დადასტურდა N3 ჰიპოთეზის 3.1, 3.2 და 3.3 ნაწილები. გამონაკლისი შეადგინა სელფისა და ღირებულებების შესახებ ნარატივებმა, რომელთა რაოდენობამაც იმატა ცხოვრების ისტორიის მეორედ მოყოლისას ($F(6) = 7.625, p = .000$).

5.1.4. კვლევაში ჩართული ცვლადების ინტერკორელაციები: T1 და T2

ვინაიდან კვლევაში ჩართული ცვლადები მოგონების ტიპის მიხედვით იცვლებოდა დროის ორივე მომენტში, მათ შორის კავშირი მოგონების ტიპის გაკონტროლების პირობებში ინახა. მოვლენის ტიპი, საზრისი, გავლენა და გადაწყვეტა — დროის T1 და T2 მომენტებისთვის ცალ-ცალკე აღებული, მოგონების ტიპის გაკონტროლების ფონზე, სანდოდ დადებითად კორელირებდნენ ერთმანეთთან (იხ. ცხრილი N3).

გარდა ამისა, დაფიქსირდა სხვა კავშირები T1 და T2 მომენტებში გაზომილ ცვლადებს შორის (ცხრილი N3). კერძოდ, T1-ის შემთხვევაში დადებითი გადაწყვეტა სანდოდ დადებითად კორელირებს საზრისთან და გავლენასთან (ანუ მთლიანობაში ავტობიოგრაფიულ მსჯელობასთან), ხოლო T2-სთვის ასეთი კავშირი არ გამოვლინდა. შესაბამისად, N2 ჰიპოთეზის 2.4 ნაწილი დადასტურდა T1-ის და არ დადასტურდა T2-ის შემთხვევაში.

ცხრილი N3. კვლევაში ჩართული ცვლადების ინტერკორელაციები: T1 და T2.

	საზრისი o_2	გავლენ a_1	გავლენ a_2	მოვლ. ტიპი_1	მოვლ. ტიპი_2	გადაწყ. _1	გადაწყ. _2
საზრისი_1	<u>.23*</u> .002	<u>.76*</u> .000	.16 .032	<u>.18*</u> .015	<u>.16*</u> .035	<u>.17*</u> .025	<u>.15*</u> .040
საზრისი_2		.15 .052	<u>.75*</u> .000	.02 .713	.14 .053	<u>.17*</u> .022	.134 .074
გავლენა_1			<u>.31*</u> .000	<u>.22</u> .003*	<u>.16*</u> .032	<u>.21*</u> .005	.068 .364

გავლენა_2	.11	<u>.23*</u>	<u>.24*</u>	.101
	.140	.002	.001	.178
მოვლ.		<u>.42*</u>	<u>.29*</u>	.114
ტიპი_1		.000	.000	.128
მოვლ.			<u>.15*</u>	.150
ტიპი_2			.045	.045
გადაწყ._1				<u>.30*</u>
				.000


5.1.5. კვლევაში ჩართული ცვლადების პრედიქტორული ღირებულება

იმის სანახავად, თუ რამდენად შესაძლებელია პირველი თხრობისას გაზომილი რომელიმე საკვლევი ცვლადით ან ცვლადების კომბინაციით მეორე თხრობისას გაზომილი რომელიმე საკვლევი ცვლადის ან ცვლადების წინასწარმეტყველება, განხორციელდა იერარქიული მრავლობითი რეგრესიული ანალიზი, რომელმაც აჩვენა, რომ მეორედ თხრობისას საზრისის დახვეწილობის მაჩვენებელს სანდოდ წინასწარმეტყველებს პირველი თხრობისას საზრისის დახვეწილობისა და კონკრეტული ამბების გამეორების სიხშირის კომბინაცია და ხსნის მისი ვარიანტულობის 70%-ს ($F(1) = 15.600, p = .000$) (ცხრილი N4 და სურ. N1).

ცხრილი N4. მრავლობითი რეგრესიის მოდელი მეორედ თხრობისას საზრისის დახვეწილობის წინასწარმეტყველებისთვის.

	არასტანდარტიზებული B	SE B	სტანდარტიზებული β
ბიჯი 1			
კონსტანტა	15.552	1.840	
ამბის გამეორების სიხშირე	1.985		-.598*
ბიჯი 2.503			
კონსტანტა	7.882	3.398	
ამბის გამეორების სიხშირე	-1.431	.505	-.431*
საზრისის დახვეწილობა	.720	.278	.395*
T1			

შენიშვნა: $R^2 = .358$ I ბიჯისთვის, $\Delta R^2 = .028$ II ბიჯისთვის ($p < .001$) * $p < .001$.



სურ . N 1. განმეორებითი თხრობისას საზრისის წინასწარმეტყველება .

5.2. შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია

ამრიგად, სრულად დადასტურდა კვლევის პირველი ჰიპოთეზა. ამ კვლევის შერჩევაში ცხოვრების ისტორიის სამწლიანი შუალედით მეორედ თხრობისას კონკრეტული მოგონებების მხოლოდ დაახლოებით მესამედი გამოვლინდა ანუ პრაქტიკულად უცვლელად შენარჩუნდა ამბების თემატური ხაზები, თუმცა მოგონების გამოვლინება არ იყო დამოკიდებული იმაზე, კვლევის მონაწილე თავისი ცხოვრებიდან დადებით, უარყოფით, გადაწყვეტ, გამოწვევის შემცველ თუ რომელიმე სხვა ტიპის გამოცდილებას ყვებოდა თუ არა, რაც თანხვედრა როგორც ქართულ შერჩევებზე მიღებულ, ისე — ამერიკაში წარმოებული კვლევების უკვე არსებულ მონაცემებს (ხეჩუაშვილი, 2016; ჯანანაშვილი, ხეჩუაშვილი & გოგიჩაიშვილი, ბეჭდვაში; გოგიჩაიშვილი, ხეჩუაშვილი და მესტვირიშვილი, 2016; McAdams, 2006; Thorne, Cutting, & Skaw, 1998).

პირველი თხრობისთვის დადასტურდა კვლევის მეორე ჰიპოთეზის პირველი, მესამე და მეოთხე ნაწილები ანუ მოვლენის ტიპის, საზრისის, გავლენისა და გადაწყვეტის განაწილება დროის პირველ მომენტში განსხვავდება იმისდა მიხედვით, რა ტიპის მოგონებას ყვება კვლევის მონაწილე. ამასთან, დადებითი გადაწყვეტა სანდოდ დადებითად კორელირებს საზრისთან და გავლენასთან (ანუ მთლიანობაში ავტობიოგრაფიულ მსჯელობასთან). რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას მეორე თხრობისას, დადასტურდა მისი პირველი, მეორე და მესამე ნაწილები ანუ მოვლენის ტიპის, საზრისისა და გავლენის განაწილება განსხვავდება მოგონების ტიპის მიხედვით, დადებითი გადაწყვეტა კი არ არის დამოკიდებული მოგონების ტიპზე. გარდა ამისა, დადებითი გადაწყვეტა არ არის კავშირში ავტობიოგრაფიულ მსჯელობასთან. კვლევები (მაგალითად, McAdams, 2006; Pals & McAdams, 2004) აჩვენებს, რომ თხრობისას მომხდარი მოვლენის დადებითი გადაწყვეტა ანუ მაკომპენსირებელი სტრუქტურით დალაგება შედარებით სტაბილური მახასიათებელია და ინვარიანტულია მოგონების ტიპის მიხედვით. ეს, ფაქტობრივად, ეხმიანება მაკადამსის თეორიულ (და ემპირიულად მრავალგზის დადასტურებულ) მოდელს (cf. McAdams, 2013), რომ ადამიანის მიერ საკუთარი გამოცდილების თხრობის მოდუსი, სტრუქტურა ანუ ის, თუ

როგორ, რა პატერნის მიხედვით დაალაგებენ მომხდარ მოვლენებს, უფრო სტაბილური კოგნიტური მახასიათებელია, ვიდრე მოგონების ტიპიდან ან ნარატივის რომელიმე სხვა მახასიათებლიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული და მოყოლილი ამბების კარგად დასრულების ტენდენცია მჭიდროდ უკავშირდება ისეთ პიროვნების პოზიტიურ მახასიათებლებს, როგორცაა ოპტიმიზმი (, გამოცდილებისადმი ღიაობა, ექსტრავერსია და პოსტტრავმული ზრდა (ხეჩუაშვილი, 2016; Jia, Ying, Zhou, Wu, & Lin, 2015; McLean & Pratt, 2006; Pals & McAdams, 2004).

პრაქტიკულად სრულად დადასტურდა მესამე ჰიპოთეზა: მოვლენის ტიპი, მნიშვნელობა, გავლენა და დადებითი გადაწყვეტა, ფაქტობრივად, სტაბილურად შენარჩუნდა მეორე თხრობისას ერთი გამონაკლისით: მეორედ თხრობისას მეტად იყო წარმოდგენილი ამბები სელფისა და ღირებულებების შესახებ. მაკადამის (2006) და სხვების კვლევები აჩვენებს, რომ მოვლენის ტიპი სტაბილურია თხრობიდან თხრობაზე და მოცემული შედეგებიც თანხმობაში მოდის ამ მონაცემებთან. ავტობიოგრაფიული მსჯელობაც (მნიშვნელობა და გავლენა) (Kober & Habermas, 2017) შედარებით სტაბილურია არსებული კვლევების მიხედვით. ადამიანს ან შეუძლია რეფლექსია საკუთარ წარსულზე, ან -- არა. ეს შეიძლება გაცნობიერებულ/ნებელობით რუმინაციას უკავშირდებოდეს, ვინაიდან პრაქტიკულად ცნობიერი რუმინაციაა ის კოგნიტური პროცესი, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს ადამიანი რეფლექსიას ანუ ავტობიოგრაფიულ მსჯელობას ანუ მნიშვნელობის ძიებას, რაც შემდგომი კვლევის საგანს შეადგენს. რაც შეეხება მეორე თხრობისას საკუთარი თავისა და ღირებულებების შესახებ მოყოლილი ამბების რაოდენობის მატებას, ძნელია რაიმე ინტერპრეტაციისა თუ დასკვნების შემოთავაზება, ვინაიდან ერთ კონკრეტულ კვლევაში მონაწილე 15 ადამიანის ნარატივების გაანალიზებით მიღებული შედეგები სრულიად არასაკმარისია რაიმე სახის ინტერპრეტაციის შემოსათავაზებლად და ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

რაც შეეხება მეოთხე ჰიპოთეზას, რომელიც სხვადასხვა მოდელის შემთხვევაში შემოწმდა, დადასტურდა მხოლოდ ერთი მოდელის პირობებში, კერძოდ, მეორედ თხრობისას მნიშვნელობის დახვეწილობის მაჩვენებელი სანდოდ შეიძლება იქნეს ნაწინასწარმეტყველები პირველი თხრობისას მნიშვნელობის დახვეწილობისა და კონკრეტული ამბების გამეორების სიხშირის ურთიერთქმედებით და ეს კომბინაცია მისი ცვალებადობის ორ მესამედს ხსნის.

კვლევა (Pasupathi, McLean, & Weeks, 2008) აჩვენებს, რომ რაც მეტად ყვება ადამიანი ამბავს (მით უმეტეს, ცუდს), მით მეტია გადამუშავების და მასში მნიშვნელობის დანახვის ალბათობა. რეფლექსიურობა ანუ მიზანმიმართული, გაცნობიერებული რუმინაცია უფრო სტაბილური მახასიათებელი თუ არის, მაშინ, სტაბილურად გამეორდება შემდგომ ჯერზე ამბების თხრობისას და, ასევე, იქნება მნიშვნელობის მინიჭების პროცესი და არ შეიცვლება დიდად დროის მსვლელობასთან ერთად. ამიტომ თუ ადამიანი ახერხებს საკუთარი გამოცდილებისთვის მნიშვნელობის მინიჭებას ავტობიოგრაფიული მსჯელობის პროცესში და თან მოცემულ ამბებს ხშირად/არც თუ ისე იშვიათად ყვება, ეს ორივე ერთად, ლოგიკურია, რომ დიდწილად პროგნოზირებდეს შემდგომი თხრობისას რამდენად შეძლებს ადამიანი მომხდარში მნიშვნელობის პოვნას.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

წარმოდგენილ კვლევას, სულ მცირე, რამდენიმე შეზღუდვა აქვს. პირველ რიგში, მართალია, ანალიზის ერთეულს ცალკეული მოგონება წარმოადგენდა და არა — ინდივიდი, კვლევაში სულ 15 ადამიანი მონაწილეობდა, რაც, ერთი მხრივ, საკმაოდ დიდი მოცულობის შერჩევაა თვისებრივი კვლევისთვის, მაგრამ არასაკმარისი — ინდივიდის დონეზე წარმოებულ რაოდენობრივი კვლევისთვის. სწორედ ამიტომ იქნა შედეგები გაანალიზებული მოგონების დონეზე და ვერაფერს ვამტკიცებთ მიღებული შედეგების განზოგადების მიმართულებით. შესაბამისად, სამომავლოდ მართებული იქნებოდა უფრო დიდი მოცულობის შერჩევაზე ამ კვლევის გამეორება.

მეორე, კვლევაში გაანალიზებულია მხოლოდ რამდენიმე ცვლადი, რაც არ იძლევა სრულ სურათს ცხოვრების ნარატივის ანუ ნარატიული იდენტობის დროში ცვალებადობის შესახებ. ასე მაგალითად, შესასწავლია ისეთი მახასიათებლებიც, როგორცაა ნარატივში ჩართული მოვლენების ნორმატიულობა და ამ მოვლენათა მოხდენის ასაკი (მაგალითისთვის იხ. Kober & Habermas, 2017; Hatiboglu & Habermas, 2016; ჭუმბურიძე & ხეჩუაშვილი, 2016), ემოციური ტონი და მოგონების სპეციფიკურობა (მაგალითისთვის იხ. Habermas & Bluck, 2000) და ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი რუმინაცია.

მესამე, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კვლევა განმეორებითია, მასში დროის მხოლოდ ორ მომენტში კონსტრუირებული ნარატიული იდენტობა არის ნაკვლევი და, ამასთან, ორ მომენტს შორის შუალედი მხოლოდ სამ წელიწადს შეადგენს, რაც არც თუ ისე დიდი პერიოდია მოზრდილი ადამიანების შემთხვევაში. შესაბამისად, მესამე მომენტში ანალოგიური შუალედით (სამი წელი) ანუ უფრო ხანგრძლივ პერიოდში პერსონალური ნარატივის კვლევა კიდევ ერთი მიმართულებაა მოცემული კვლევის განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ხეჩუაშვილი, ლ. (2016c). პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი

სტრუქტურისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება (2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალ პირთა მაგალითზე. *GESJ: Education Sciences and Psychology*, No.3(40), გვ. 69-97. (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2768.pdf>).

ჭუმბურიძე, გ. ხეჩუაშვილი, ლ. (2016). ცხოვრების კულტურული სკრიპტი: ქართული ვერსია. *GESJ: Education Sciences and Psychology*, No.4(41), გვ. 19-46 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2812.pdf>)

Adler, J. M., Dunlop, W. L., Flvush, R., Lilgendahl, J. P., Lodi-Smith, J., McAdams, D. P., McLean, K. C., Pasupathi, M., and Sued, M. (in press). Research Methods for Studying Narrative Identity: A Primer. *Social Psychological and Personality Science*.

Blagov, P. S. & Singer, J. A. (2004). Four Dimensions of Self-Defining Memories (Specificity, Meaning, Content, and Affect) and Their Relationships to Self-Restraint, Distress, and Repressive Defensiveness. *Journal of Personality* 72:3, 481-512.

Costa, P. T. Jr., & McCrae, R. R. (1994). Set like plaster? Evidence for the stability of adult personality. In T. F. Heatherton & J. L. Weinberger (Eds.), *Can personality change?* (pp. 21–40). Washington, DC: APA Books.

- Crossley, M. L. (2011). *Introducing Narrative Psychology: Self, Trauma and Construction of Meaning*. Buckingham, Philadelphia: Open University Press.
- Demorest, A. P., & Alexander, I. E. (1992). Affective scripts as organizers of personal experience. *Journal of Personality*, 60, 645–663. <http://dx.doi.org/10.1111/j.1467-6494.1992.tb00924.x>
- Dunlop, W. L. (2015). Contextualized personality, beyond traits. *European Journal of Personality*, 29, 310-325.
- Dunlop, W. L., Guo, J., & McAdams, D. P. (2016). The autobiographical author through time: Examining the degree of stability and change in redemptive and contaminated personal narratives. *Social Psychological and Personality Science*, 7, 428 – 436. <http://dx.doi.org/10.1177/1948550616644654>
- Dunlop, W. L., Walker, L. J., and Wiens, T. K. (2013). What do we know when we know a person across contexts? The differing relationship between self-concept differentiation and adjustment at the three levels of personality. *Journal of Personality*, 81, 376-389.
- Erikson, E. H. (1963). *Childhood and Society*. New York: Norton.
- Fleeson, W., & Jayawickreme, E. (2015). Whole trait theory. *Journal do Research in Psychology*, 80(6), 1011-1027.
- Fournier, M. A., Moskowitz, D. S., & Zuroff, D. C. (2009). The interpersonal signature. *Journal of Research in Personality*, 43, 155-162.
- Habermas, T., & Bluck, S. (2000). Getting a Life: The Emergence of the Life Story in Adolescence. *Psychological Bulletin*, Vol. 126. No. 5, 748-769.
- Hatiboglu, N., & Habermas, T. (2016). The normativity of life scripts and its relation with life story events across cultures and subcultures. *Memory*. 2016 Nov;24(10):1369-81. doi: 10.1080/09658211.2015.1111389.
- Heatherton, T. F., & Nichols, P. A. (1994). Conceptual issues in assessing whether personality can change. In T. F. Heatherton & J. L. Weinberger (Eds.), *Can personality change?* Washington, DC: APA Books.
- Jia, X., Ying, L., Zhou, X, Wu, X., and Lin, Ch. (2015). The Effects of Extraversion, Social Support on the Posttraumatic Stress Disorder and Posttraumatic Growth of Adolescent Survivors of the Wenchuan Earthquake. *Deases Research*, <https://doi.org/10.1371/journal.pone.0121480>
- Josselson, R. (2009). The present of the past: Dialogues with memory over time. *Journal od Personality*, 77, 647-668.
- Khechuashvili, L. (2015b). Tracing emerging master narrative of modern Georgians: Reconstruction through individual life stories. *GESJ: Education Sciences and Psychology*, 3(35), 90-106.
- Kober, Ch. And Habermas, T. (2017). How stable is the personal past? Stability of most important biographical memories and life narratives across lifespan sample. *Journal of Personality and Social Psychology*, 113(4):608-626. doi: 10.1037/pspp0000145
- Lilgendahl, J. P. and McAdams, D. P. (2011). Constructing Stories of Self-Growth: How Individual Differences in Patterns of Autobiographical Reasoning Relate to Well-Being in Midlife. *Journal of Personality*, 79:2, DOI: 10.1111/j.1467-6494.2010.00688.x

- Mackinnon, S. P., De Pasquale, D., & Pratt, M. W. (2016). Predicting generative concern in young adulthood from narrative intimacy: A 5-year follow-up. *Journal of Adult Development, 23*, 27-35. doi: 10.1007/s10804-015-9218-1.
- Mansfield, C. D., Pasupathi, M. & McLean, K. C. (2015). Is narrating growth in stories of personal transgressions associated with increased well-being, self-compassion, and forgiveness of others? *Journal of Research in Personality, 58*, 69-83.
- McAdams, D. P. (1993). *The Stories we live by: Personal Myths and the Making of the Self*. New York: Morrow.
- McAdams, D. P., Anuidoho, N. A., Brown, Ch., Huang, Y. T., Kaplan, B., and Machado, M. A. (2004). Traits and stories: Links between dispositional and narrative features of personality. *Journal of Personality, 72:4*, 761-784.
- McAdams, D. P., Bauer, J. J., Sakaeda, A. R., Anuidoho, N. A., Machado, M. A., Magrino-Failla, K., White, K. W., and Pals, J. L. (2006). Continuity and change in the life story: A longitudinal study of autobiographical memories in emerging adulthood. *Journal of Personality, 74:5*, 1372-1400; DOI: 10.1111/j.1467-6494.2006.00412.x.
- McAdams, D. P. (2008). Personal Narratives and the Life Story. In O. P. John, R. W. Robins, & L. A. Pervin (Eds.) *Handbook of Personality: Theory and Research*, 3rd ed. pp. 242-262. New York, London: Guilford press.
- McAdams, D. P. (2009). *The Person: An Introduction to the Science of Personality Psychology*, 5th ed. USA: John Wiley & Sons, Inc.
- McAdams, D. P. (2013). *The redemptive self: Stories Americans live by*. Revised and expanded edition. Oxford University Press.
- McAdams, D. P., & Cox, K. S. (2010). Self and identity across the life span. In A. Freund & R. Lerner (Eds.). *Handbook of lifespan development*, vol. 2, pp. 158-207. New York: Wiley.
- McAdams, D. P., and Manczak, E. (2011). What is a “level” of personality? *Psychological Inquiry, 22*, 40-44.
- McAdams, D. P., and McLean, K. C. (2013). Narrative Identity. *Current Directions in Psychological Science, 22(3)*, 233-238.
- McAdams, D. P. and Olson, B. D. (2010). Personality development: Continuity and change over the life course. *Annual Review of Psychology, 61:517-42*.
- McAdams, D. P. and Walden, K. (2010). Jack Block, the Big Five, and Personality from the Standpoints of Actor, Agent, and Author. *Psychological Inquiry, 21: 50-56*.
- McLean, K. C. (2005). Late adolescent identity development: Narrative meaning-making and memory telling. *Developmental Psychology, 41*, 683-691.
- McLean, K. C. (2008). Stories of the young and the old: Personal continuity and narrative identity. *Developmental Psychology, 44*, 254-264.
- McLean, K. C., and Breen, A. V. (2009). Processes and content of narrative identity development in adolescence: Gender and well-being. *Developmental Psychology, 45(3)*, 702-710.
- McLean, K. C., and Jannings, I. E. (2012). Teens telling tales: How maternal and peer audience support narrative identity development. *Journal of Adolescence, 35*, 1455-1469.

- McLean, K. C., Pasupathi, M., Greenhoot, A. F., and Fivush, R. (2016). Does intra-individual variability in narration matter and for what? *Journal of Research in Personality*, 69, 55-66.
- McLean, K. C., Pasupathi, M., and Pals, J. L. (2007). Selves creating stories creating selves: A process model of self-development. *Personality and Social Psychology Review*, Vol. 11, No. 3. 262-278.
- McLean, K. C. & Pratt, M. W. (2006). Life;s little (and big) lessons: Identity statuses and meaning-making in the turning point narratives of emerging adults. *Developmental Psychology*, 42, 714-722.
- McLean, K. C. & Thorne, A. (2003). Late adolescents' self defining memories about relationships. *Developmental Psychology*, 30, 635-645.
- McLean, K. C. & Syed, M. (Eds.) (2015). *The Oxford handbook of identity development*. Oxford University Press.
- McLean, K. C. & Syed, M. (2016). Personal, Master, and Alternative Narratives: An Integrative Framework for Understanding Identity Development in Context.
- McLean, K.C., Syed, M., Yoder, A. & Greenhoot, A. F. (2014). Role of Domain Content in Understanding Identity Development Processes. *Journal of Research on Adolescence*, 26(1), 60-75.
- McLean, K. C., Wood, R. and Breen, A. (2013). Reflecting on a difficult life: Narrative construction and delinquency in vulnerable adolescents and the hazards of reflecting on difficult experiences. *Journal of Adolescent Research*, 28, 431-452.
- Mischel, W., & Shoda, Y. (1995). A cognitive-affective system theory of personality: Reconceptualizing situations, dispositions, dynamics, and invariance in personality structure. *Psychological Review*, 102, 246-268.
- Noftle, E. E., & Fleeson, W. (2010). Age differences in big five behaviour averages and variabilities across the adult lifespan: Moving beyond retrospective, global summary accounts of personality. *Psychology and Aging*, 25, 95-107.
- Pals, J. L., & McAdams, D. P. (2004). The transformed Self: A narrative understanding of Posttraumatic growth. *Psychological Inquiry*, 65-69.
- Pasupathi, M., Brubaker, J. R., and Mansour, E. (2007). Developing a Life Story: Constructing Relations between Self and Experience in Autobiographical Narratives. *Human Development*, 50:85-110. DOI: 10.1159/000100939.
- Reese, E., Haden, C. A., Baker-Ward, L., Bauer, P., Fivush, R., & Ornstein, P. A. (2011). Coherence of personal narratives across the lifespan: A multidimensional model and coding method. *Journal of Cognitive Development*, 12(4). 424-462. Doi: 10.1080/15248372.2011.587854.
- Syed, M. (2010). Developing an Integrated Self: Academic and Ethnic Identities Among Ethnically Diverse College Students. *Developmental Psychology*, 46(6), 1590-1604.
- Thorne, A., Cutting, L., & Skaw, D. (1998). Young adults; relationship memories and the life story: Examples or essential landmarks? *Narrative Inquiry*, 8, 1-32.
- Thorne, A., McLean, K. C., and Lawrence, A. M. (2004). When remembering is not enough: Reflecting on self-defining memories in late adolescence. *Journal of Personality*, 72:3, 513-542.

- Tomkins, S. S. (1981). The quest for primary motives: Biography and autobiography of an idea. *Journal of Personality and Social Psychology*, Vol. 41(2), pp. 306-329.
- Tomkins, S. S. (1987). Script theory. In J. Aronoff, A. I. Rabin, & R. A. Zucker (Eds.), *The emergence of personality* (pp. 147–216). New York, NY: Springer
- Waters, T. E., Bauer, P. J., & Fivush, R. (2013). Autobiographical memory functions served by multiple event types. *Applied Cognitive Psychology*, 90, 288-307.
- Watson, D. (2004). Stability versus change, dependability versus error: Issues in the assessment of personality over time. *Journal of Research in Personality*, 38, 319–350.
- Weeks, T. L., and Pasupathi, M. (2010). Autonomy, identity, and narrative construction with parents and friends. In K. C. McLean & M. Pasupathi (Eds.), *Narrative identity development in adolescence: Creating the storied self* (pp. 65-92). New York: Springer.
- Williams, H. L., & Conway, M. A. (2009). Networks of autobiographical memories. In P. Boyer & J. V. Wertsch (Eds.), *Memory in mind and culture* (pp. 33–61). New York, NY: Cambridge University Press. <http://dx.doi.org/10.1017/CBO9780511626999.004>.

Article received 2018-03-28